შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი 01 მარტი 2017წ.

ერთი მხრივ, **ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო** (ს/კ 245429610), მისი უფროსის, მაია ივანიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი“ , წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ 2017 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის №362 განკარგულების შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 22 იანვრიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (**CON150000078**) №10 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 1950 (ათასცხრაასორმოცდაათი) ლარი.

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
4.2. **მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 1 აპრილამდე.**

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 მაისამდე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 22 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (**CON150000078**) №10 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება საარქივო სამმართველოს
უფროსი

მაია ივანიშვილი

მიმწოდებელი:

კორპორაციული ბიზნეს
ერთეულის დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საარქივო სამმართველო

384545 ბათუმი, ვ.გორგასალის ქ. № 126

ტელ: 27 52 10

N 01-24/116
01/03/2017

116--2-201703011540

შპს „ჯეოსელის“
კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორს
ბატონ მალხაზ ჟორჟიკაშვილს

ბატონო მალხაზ,

გთხოვთ, 2017 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის № 362 განკარგულების შესაბამისად, ჩვენს ორგანიზაციებს შორის ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016–2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება გაგვიგრძელოთ 2017 წლის 1 აპრილამდე და ჩვენს ორგანიზაციაზე რიცხული ნომრები დაგვიტოვოთ ჩართული იგივე ჯგუფებში და ასარგებლოთ იგივე მომსახურებებით, ლიმიტებით და პაკეტებით, რითიც სარგებლობდნენ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

აღნიშნულ პერიოდში ნომრებზე (გარდა არათანამშრომელთა ჯგუფის ნომრებისა) წარმოქმნილ დავალიანების დაფარვას უზრუნველყოფს ორგანიზაცია.

პატივისცემით,

მაია ივანიშვილი

სამმართველოს უფროსი

ხელმძღვანელობა

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N362 2017 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

2017 წელს ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის უწყვეტობის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „2017-2018 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000033) ვერ გამოვლინდა გამარჯვებული პრეტენდენტი, ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე:

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულებით განსაზღვრულ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2017-2018 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის

გამოვლენამდე და შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებამდე, შემსყიდველ ორგანიზაციებს დაერთოთ ნება, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2583 განკარგულებით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) პირობების შესაბამისად, ამავე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან (შპს „მაგთიკომი", შპს „ჯეოსელი") ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება დაეკისროს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2337 განკარგულებით შექმნილ სატენდერო კომისიას, ამავე განკარგულებით დამტკიცებული საქმიანობის წესის შესაბამისად.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

გაცნობებთ, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, 2017 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის № 362 განკარგულების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციებს დაერთოთ ნება CON150000078 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან (შპს „მაგთიკომი", შპს „ჯეოსელი") ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ CON150000078 კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილამდე.